



სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური
დირექტორის

ბრძანება № 35

2017 წლის 01 მაისი

ქ. თბილისი

„მეცნიერება იწყება სკოლიდან – კვლევები მოსწავლეთა მონაწილეობით“ 2017 წლის სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსის გამოცხადების, კონკურსის პირობების და საკონკურსო დოკუმენტაციის ფორმების დამტკიცების შესახებ” სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2017 წლის 24 მარტის N21 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო და სასწავლო ღონისძიებების უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მაია ქაჯაიას სამსახურებრივი ბარათის (N 429268, 430557, 28.04.2017) შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება „მეცნიერება იწყება სკოლიდან – კვლევები მოსწავლეთა მონაწილეობით“ 2017 წლის სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსის გამოცხადების, კონკურსის პირობების და საკონკურსო დოკუმენტაციის ფორმების დამტკიცების შესახებ” სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2017 წლის 24 მარტის N21 ბრძანების დანართ 1-ში, „2017 წლის სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსის – „მეცნიერება იწყება სკოლიდან – კვლევები მოსწავლეთა მონაწილეობით“ პირობები“ და მე-5 მუხლის 1-ელი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტს „ნაწილი მეორე - პროექტზე თანდართული დოკუმენტები“ დაემატოს მე-7 პუნქტი:
„7. საჯარო სკოლის მასწავლებლის დიპლომის ასლი“
2. შევიდეს ცვლილება „მეცნიერება იწყება სკოლიდან – კვლევები მოსწავლეთა მონაწილეობით“ 2017 წლის სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსის გამოცხადების, კონკურსის პირობების და საკონკურსო დოკუმენტაციის ფორმების დამტკიცების შესახებ” სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2017 წლის 24 მარტის N21 ბრძანების დანართ 1-ში, „2017 წლის სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსის – „მეცნიერება იწყება სკოლიდან – კვლევები მოსწავლეთა მონაწილეობით“ პირობები“ და მე-5 მუხლის 1-ელი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტს „ნაწილი მეორე - პროექტზე თანდართული დოკუმენტები“ დაემატოს მე-8 პუნქტი:
„8. ცნობა საჯარო სკოლიდან, სადაც დადასტურებული იქნება, რომ პროექტის ხელმძღვანელი მე-8 - მე-12 კლასების მოქმედი მასწავლებელია“

3. შევიდეს ცვლილება „მეცნიერება იწყება სკოლიდან – კვლევები მოსწავლეთა მონაწილეობით“ 2017 წლის სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსის გამოცხადების, კონკურსის პირობების და საკონკურსო დოკუმენტაციის ფორმების დამტკიცების შესახებ” სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2017 წლის 24 მარტის N21 ბრძანების დანართ 7-ში, პროექტის ბიუჯეტში, თანდართული დანართის შესაბამისად.
4. დაევალოს ფონდის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს წინამდებარე ბრძანების ფონდის ვებგვერდზე განთავსება.
5. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. N6).



მანანა მიქაბერიძე
გენერალური დირექტორის
მოვალეობის შემსრულებელი